№ 223
1877—1894
პარასკევი, 21 ოკტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 223
პარასკევი, 21 ოკტომბერი 1894
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ

დღეს 20-ს ოქტომბერს ნაშუადღევის ორს საათს და

ხუთმეტ წუთს წყნარად ღვთივ განისვენა.

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 19 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ: ამ დღის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორმა ცოტა საჭმელი მიირთვა; ანთება მარცხენა ფილტვში ისევე აქვს; სუნთქვა უჭირდება; მაჯა სუსტად უცემს; საზოგადოდ ძალიან სუსტად არის.

**ლონდონი.** დღეს პრინცი და პრინცესა უელსისა პირდაპირ ლივადიას მიდიან.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგენტო) პრინცი და პრინცესა უელსისა ვენასა და ვოლოჩისკს გაივლიან და ოდესსაში შაბათს საღამოს მივლენ. ოდესსაში მათნი უმაღლესობანი საიმპერატორო იახტაზედ გადავლენ და ლივადიას წავლენ.

**ლივადია,** 14 ოქტომბერი. ოფიციალურად: სიხარულითა, მაგრამ აღშფოთებულის გრძნობით მოელოდდა იალტა ხელმწიფე იმპერატორის მობრძანებას. ამბავი მისის უდიდებულესობის სნეულებისა ყველგან მოეფინა; სპალიდგან მისი წაბრძანება შეგვიანდა, რაც უფრო აფიქრებდა და შიშს უღვიძებდა ადამიანს გულში; სპალაშივე ექიმებმა შენიშნეს სენის ისეთი ნიშნები, რომელიც დიდად აწუხებდა მკურნალებს და იძულებულ ჰყოფდა ჩქარა გადაეყვანათ ავადმყოფი თბილს ჰავაში. ხანგრძლივმა მგზავრობამ დაჰლალა ხელმწიფე და უფრო-კი ხალხის მიერ სევასტოპოლსა და იალტაში დახვედრამ და მიგებებამ. პირველი დღეები ლივადიაში ყოფნისა შესვენების დღეები იყო და ავადმყოფი მოკეთდა 25 სექტემბერს მთელი წირვა ფეხზედ მდგომარემ მოისმინა; და აიტოდორში ბრძანდებოდა ეტლით; შემდეგს დღეებშიაც ეტლით სეირნობდა, მერე გამოაჩნდა ნიშნები სისუსტისა, მადა და ძილი დაეკარგა, გული ისე აღარ უცემდა, ალმუბინი გაუძლიერდა და ფეხის სიმსივნე დაეწყო; დადგა დღეები საშინელის მოუსვენრობისა; ლივადიაში მოსული ხარკოვის პროფესორი გრუბე, რათა მადლობა მოეხსენებინა მისის უდიდებულესობისათვის იმ ყურადღებისათვის, რომელიც ხელმწიფემ მიაპყრო იმას ამავე სენით ავადმყოფობის დროს,—ყველას იმედს აძლევდა, რომ კეთილად დაბოლოვდება ეს სნეულება. მკურნალებს განსაკუთრებით ის აწუხებდა, რომ უავგუსტოესს ავადმყოფს მადა სრულიად დაეკარგა, რაიცა საშიში იყო გულისათვის. 7 ოქტომბერს ყველა გაახარა იმ ამბავმა, რომ მადა დაუბრუნდაო: ხელმწიფემ საკმაოდ მიირთვა საჭმელი; შემდეგის დღიდგან იმედი უფრო განაცხოველა იმ ამბავმა, რომ ძილი და გაღვიძება ძალ-ღონეს აძლევს და ალმუბი შეუმცირდაო. 8 ოქტომბერს საბერძნეთის დედოფალს მოელოდნენ; დედოფალთან ერთად ლივადიაში მობრძანდა დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული. მის უმაღლესობას აზრად მოუვიდა იოანნე სერგიევი მოეწვია. 9 ოქტომბერს, კვირა დღეს, ხელმწიფემ დაიბარა მოძღვარი, პროტოპრესვიტერი იანიშევი და განუცხადა სურვილი წირვის შემდეგ წმ. საიდუმლოს მიღებისა. წმ. საიდუმლოს მიღებამ დიდად დაამშვიდა კეთილ-მორწმუნე ხელმწიფე, მაგრამ ეს დღეცა და ამის მეორე დღეც ავადმყოფი თუმცა აღელვებული იყო, მაგრამ ნუგეშ-ცემული. ორშაბათს, 10 ოქტომბერს, ხელმწიფემ მოისურვა მ. იოანნე სერგიევის ნახვა, ინახულა და იმასთან ერთად ილოცა; იმავე საღამოს ლივადიაში მოელოდნენ ცესარევიჩის უმაღლესად სახელწოდებულს სასძლოს. ხელმწიფეს დიდი ხანია ჰსურდა და ენატრებოდა ნახვა პრინცესის ალისასი, მაგრამ ამ ნახვამ ავადმყოფი დიდად ააღელვა; ამისი ეშინოდათ ექიმებს, მაგრამ ამ ღამემ კეთილად გაიარა. მას შემდეგ სნეულება ხელმწიფისა ისე მიმდინარეობდა, რომ იმედსაც აღუძრავდა ადამიანს გულში და არც შიშს აქრობდა: ერთის მხრივ თუ აიმედებდა რიგიანი ძილი და მადა, მაჯის ცემის გაძლიერება და, რაც უფრო თვალსაჩინოა, თვით ავადმყოფის სიმტკიცე სულისა, კარგს გუნებაზედ ყოფნა, მეორეს მხრივ განსაკუთრებით მკურნალებს აწუხებდა სიმსივნე ფეხისა, რომელიც თანდათან ჰმატულობდა და უძნელებდა ჰაერზედ ყოფნას. ყველა მღელვარებაშია, შიში იმე-სა სცვლის და იმედი შიშს, ყველა ლოცვა-ვედრებაშია, რომელიც ყოველ მხრივ გაისმის და ერის სულს ავსებს და იმედს უცხოველებს ღვთის მოწყალებისას. თვით საყვარელი ხელმწიფე ჩვენი, თავისის სნეულების მიუხედავად, არა სტოვებს ქვეყნის მმართვის საქმეთა გამო ზრუნვას. მკურნალთა დაბეჯითებულის თხოვნით მიმდინარე საქმენი და მოხსენებანი მისმა უდიდებულესობამ გარდასცა განსახილველად მემკვიდრე ცესარევიჩს, ხოლო თვით ხელმწიფე ჰსინჯავს იმათგანს უფრო შესანიშნავ და თვალსაჩინო საქმეებს და თავისის ხელის მოწერით ამტკიცებს ყოველს ქაღალდსა და სიგელს, რომელსაც-კი ხელის მოწერა სჭირია.

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 20 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ: ხელმწიფე იმპერატორმა მთელი ღამე უძილოდ გაატარა; სუნთქვა ძლიერ უჭირს; გულის ცემა სწრაფად უსუსტდება. დიდად საშიშს მდგომარეობაშია.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის პოლიციმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს: რა-

## ფელეტონი

### დაკარგული ბედნიერება

(ესკიზი)

(დასასრული*)

ჩვენ დავსხედით სავარძელზედ და ნინომ დაიწყო თავისს თავ-გადასავალი:

— ოჰ, ალექსანდრე! როცა მამაგონდება ჩემი და ნიკოს შეუღლების პირველი ხანა, გული კვლავ მოიფონებს ხოლმე, კვლავ ცოცხლდება და ოცნებისაგან მოვლენილის იმედით მევსება!.. შენც კარგად იცი, ჰნახე ჩემი ბედნიერება, ის ნეტარი წამები ჩემის ცხოვრებისა და ნუ თუ მაშინ წარმოიდგენდი, რომ ამ ორს წელიწადს ასეთი ცვლილება მოხდებოდა ჩემს ცხოვრებაში?! არ წარმოიდგენდი განა!.. მაგრამ ეჰ, როგორცა სჩანს, ჩემი ბედი ასე ყოფილა... მაგრამ არა... არა—დამშვიდებული კილო შეიცვალა და გაბრაზებით წარმოსთქვა:—არა, ბედი-კი არა... ჩემი ბრალია, ჩემი... ბედი აქ რა შუაშია?! ჩვენს ბედს თითონ ჩვენვე ვქმნით, ჩვენი ბედი თითონ ჩვენზევეა დამოკიდებული და ის შემცდარია, ვინც ამითი მართლულობს თავს: „ალბად შუბლზე ასე მწერებიაო“!..

—ნინო თანდათან აღელვდა, ლაპარაკის ძაფი დაჰკარგა და თავისს თავს ესაყვედურებოდა.

მე დამშვიდება დაუწყე.

— გონება მერევა ალექსანდრე, როდესაც ჩემს დანაშაულის გამო ვიწყებ ხოლმე ლაპარაკს და მზადა ვარ ჩემს თავს ავუტეხო რამე!.. მაგრამ მაინც ვეცდები ყველაფერი დალაგებით გიამბო...

— შენ თითონ იცი, ალექსანდრე— დაიწყო ნინომ ცოტა სიჩუმის შემდეგ—რომ ჩემი და ნიკოს შეუღლება სიყვარულმა გამოიწვია, რომ არც ერთს ჩვენგანს არავითარი სხვა—კაცის დამამცირებელი აზრი არა ჰქონია... დიაღ, მე ნიკო შევიყვარე იმ გრძნობით, რა გრძნობითაც შეუძლიან გაიმსჭვალოს ოცის წლის ქალის გული, რომელიც პირველად შეხვდება ნამდვილს, ჭეშმარიტს და იდეალურს სიყვარულს. ნიკოს სიყვარულიც სწორედ ამ გვარი იყო...

— რასაკვირველია, პირველი ხანა ჩვენის შეუღლებისა სრულის ბედნიერებით გვატკბობდა მე და განსვენებულს და მეგონა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ ეჰ...—აქ ნინო უცბად შესდგა, მწარეთ გააქნია თავი რამდენსამე წამს მდუმარებდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— ქორწილის მეორე დღესვე სოფელში წავედით, რომ დრო სრულს მყუდროებაში გაგვეტარებინა და ერთმანეთის სიამოვნებაში შთაგვენთქა ჩვენი არსებანი. სოფელში ერთი თვე დაჰყავით. მთელი ეს ხანა ჩემს მეხსიერებაში ამოუშლელ ხაზად დარჩება, რადგანაც, თუ სიცოცხლეში სიტკბოება რამ მიგრძვნია, სწორედ ამ ერთს თვეს!

ნიკოს თითოეული ნაბიჯი, ყოველი თვალის დახამხამება ჩემს სიამოვნებასა სცდილობდა!.. ძალიან, გაგიჟებამდის ვუყვარდი განსვენებულს და სწორედ ამ თავ-დავიწყებამდის მიღწეულმა გრძნობამ მოიდნო უბედური.

— მეც, კვ:ხნით არ ვიტყვი, მაგიერს ვუხდიდი და ნეტარებად მიმაჩნდა რითიმე მესიამოვნებინა!.. ერთის სიტყვით, ორივენი კმაყოფილნი ვიყავით ერთმანეთისა.

— თვის დამლევს ნიკომ ტ—ში დაბრუნება განიზრახა. მე თუმცა წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც თავისი არ დაიშალა და ტ—ი ჩამოვედით. სწორეთ ამ დროს შენ სამზღვარ გარეთ მიხვიდოდი. შენ თითონ გვნახე და აღტაცებული იყავი ჩვენის ბედნიერებით! ხომ გახსოვს?!. შენ წახვედი, დაზამთრდა კიდეც დ ტ—მაც გაიღვიძა.

— მე და ნიკო, თუმცა სხვანაირად ვაპირებდით ცხოვრებას და, ამასთანავე უნდა გითხრა,—ამ ცხოვრების გეგმაში უმთავრესი ადგილი გონების ვარჯიშობას და კაცთ-მოყვარეობის საგნებს ეჭირა, მაგრამ საზოგადოების მიმართულების ტალღა დაგვეტაკა და ჩვენც შიგ შუა მორევში ჩაგვითრია.

— ვერ იქნა, ვერ ავიცილეთ ჩვენის წრის ფუჭი, ამაო ცხოვრება; მართალიც უნდა გითხრა, არც გაგვიწევია წინააღმდეგობა ამ ცხოვრების ზედ-მოქმედებისათვის!.. თითქოს ჩვენსავე ბუნებაში იყო ისეთი რამ მისწრაფება ამ ცხოვრებისადმი, რომელიც, ჩვენდა უნებურათ, იმის ულმობელ ბრჭყალებში გვაგდებდა! წრეს დიდი გავლენა ჰქონია, ალექსანდრე, კაცზედ!.. თუმცა მე და ნიკო დარწმუნებულნი ვიყავით, რომ დიდი დანაშაული იყო ამ გვარის უშინაარსო და უსაგნო ცხოვრებისათვის ჩვენის ჭაბუკის ძალ-ღონის შელევა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც დავემორჩილეთ ამ წრეს, საზოგადოების მიერ კანონად აღიარებულს!..

აი სათავე ჩემის დანაშაულისა და დანარჩენს შემდეგიდამ გაიგებ. მე, როგორც ნიკოს ცხოვრების თანამგზავრი, ამხანაგი,—მოვალე ვიყავ გამეფრთხილებინა იგი და არ გამეშო იმ სარბიელზედ, რომელზედაც, ვინ იცის, იქნება განსაკუთრებით ჩემის სიამოვნებისათვის გამოდიოდა?!. მე ეს არა ვქენი და, როგორც ჰხედავ, სამაგიერო ერთი ასად მოვიმკე!..

ჩვენ დიდის გულ-მოდგენით ჩავებით ტ—ის «არისტოკრატთა» ფერხულში და მოკლე ხანში უერთგულესი მონა გავხდით ამ კაცის გამათახსირებელ წრის წესებისა.

— ოჰ, ალექსანდრე! ვერ წარმოიდგენ, რა ზომამდე მძაგს, მეჯავრება ეხლა მე ეს წრე!.. წამოიძახა საშინელის სიმძულვარით ნინომ და ერთს ხანს სდუმდა. მერე კვლავ განაგრძო დამშვიდებით:

— რაღა ბევრი გავაგრძელო—დავუბრუნდით ძველს ცხოვრებას და ორივენი სრულის არსებით დავეწაფენით ფუფუნება-განცხრომასა და სხვა წუთიერს სიამოვნებას!.. შენ თითონ იცი, ალექსანდრე, რომ ჯერ გათხოვებამდისვე მე აუარებელი მოტრფიალენი მყვანდნენ და, თუ იმათი გაბედულობა მაშინ წრეს არ გადადიოდა, ეს ჩემს უმანკოებას და ქალწულობას მიეწერება. გათხოვების შემდეგ-კი, როცა კვლავ საზოგადოებას დავუბრუნდი, იმათმა რიცხვმა ერთი ათად იმატა და ამასთანავე იმათმა გაბედულობამ უმწვერვალეს უზრდელობამდე მიაღწია. წინად, თუ ეშინოდათ, რომ ჩემს ბრჭყალებში არ გამბულიყვნენ, როგორც საქმრონი, ეხლა ეს შიში უალაგო იყო და, გამარჯვების მოლოდინში, მძლავრის იერიშით მომატნეს!.. მე, რასაკვირველია, იმათ განზრახვას ყურადღებას არ ვაქცევდი და დაცინვით ვუყურებდი იმათს სურვილს, მაგრამ ამასთანავე, უნდა გამოგიტყდე, არაფრით ვცდილობდი—მომესპო იმათი ასეთი მოქმედება... ერთის მხრით კიდეც მესიამოვნებოდა

*) იხ.! «ივერია», № 222.

დგანაც ტფილისში ხოლერა გაჩნდა, ეხლავე შეუდგით სახლების გასინჯვას და ზედამხედველობა გქონდეთ, რომ სახლის პატრონებმა აასრულონ ყოველივე დადგენილება, რომელიც გამოცემულ იქმნა 1892 წელს ხოლერის მოსპობის შესახებაო.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ გუშინ მუხრანიანთ ქუჩაზე საკუთარს სახლში № 18 ხოლერით გარდაცვლილა ტფილისის სოვდაგრის მეუღლე ელისაბედ დანდუროვისა. 18 ოქტომბრიდგან გუშინდლამდე ტფილისში ხოლერით ავად გამხდარა სულ 24 სული. გუშინვე ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სასანიტარო და საექიმო საბჭოს დადგენილება შესახებ ხოლერის მოსპობისა ტფილისში.

*** ნოემბრის დამდეგს განზრახვა აქვთ ბანკის თეატრში ქართული წარმოდგენები დაიწყონ. ერთის წარმოდგენის შემოსავალი ქალაქ ქუთაისში ასაგებად თეატრის სასარგებლოდ გადაიდება.

*** საქალაქო სამხედრო ბეგარის საკრებულოში კვირას უნდა ფიცი მიიღონ იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთ, რომელთაც ამ წელს შეხვდათ ჯარში გასვლა. ჯარში გაჰყავთ სულ 54 კაცი, მათგან 22 ქართველი და სომხია..

*** დ. ჩოხატაური. 15 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ ჩოხატაურის სასოფლო სასწავლებელში გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად. პარაკლისს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარდა, სხვანიც მრავალნი დაესწრნენ.

*** სოფ. ნატოხარი (სენაკის მაზრა) გვათავეთ ჩვენსკენ ჭირნახულის მოწევა. მაგრამ რა გამოვიდა. საუბედუროდ წელს ყოველგვარი ჭირნახული ერთობ მცირე მოგვივიდა. კარგა ხანია, რაც ასეთი მცირე მოსავალი არ მოგვსვლია. უმეტესი ნაწილი სიმინდებისა ერთობ ნედლია. ამისი მიზეზი გახლდათ აგვისტოს და სექტემბრის გამუდმებული წვიმები, რომელმაც დედამიწასთან გაასწორა სიმინდი და ღომი. ამ გარემოებამ აქაური მცხოვრებნი დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო. ღვინომ ხომ სულ დაგვიკრა თავი. იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც წელს ხუთი კოკა ღვინო მოსვლოდეს.

*** ახალ-სენაკი: დადგა შემოდგომა და ჩვენს დაბაში ღამის რაინდებმაც იჩინეს თავი. ამ ზაფხულს კვირა არ გავიდოდა ისე, რომ ვინმე არ გაექურდათ. ამ მოკლე დროში კიდევ ორი ქურდობა მოხდა. აქაურს მეაფთიაქეს დაეცნენ თავს, მაგრამ პატრონმა დროზე შეუტყო და ხელ-ცარიელნი დაბრუნდნენ. მერე გაქურდეს ხ. კ. და გაზიდეს, რაც რამ მოხვდათ ხელში. ეს ვაჟბატონები, როგორც ამბობენ, შინაურნი არიანო, მაგრამ ჯერ-ჯერობით პოლიციას იმათ კვალისთვის ვერ მიუგნია.

*** ინჟენერმა ბურამმა გამოიგონა ერთგვარი ტანთსაცმელი, რომლის შემწეობითაც ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის-კაცს შეეძლება გაძლიერებულ ცეცხლში შევიდეს და არც დაწვისა, არც კომლისგან დახრჩობის შიში ჰქონდეს. ამ ტანთ-საცმელს ამ დღეებში გამოსცდიანო. ამბობს გაზეთი „Рус. Жизнь“-ი.

---

## დამაკვირდი

—

სახეში ჭეშმარიტების ნათელი ისე ვერ შეატანს, თუ ერთს წვერი არ შესტრუსა და მეორეს წამოსასხამი.

ლიხტენბერგი

**

სათნოება, ცოდნა-კი არა, სურვილია.

ზაქარია

**

გლახაკიც-კი მდიდარია, თუ მადა-სურვილი დაიმორჩილა; სადაც სადაც მადა-სურვილი ძლიერია, იქ ოქროც-კი მინაა.

რუკკერტი

## კორესპონდენცია

—

**ს. ხევი**, 18 ოქტომბერი. ავერ ორს კვირაზედ მეტია მას აქეთ, რაც დუშეთის ტყის მცველი ბ-ნი ბულგაკოვი თავისის თანაშემწითა და დანარჩენ უმცროს მოხელეებით („აბიეზდშჩიკებით“) სოფელ-სოფელ დადის აქაურის არყის ხის პატარა ტყეების ჩასაბარებლად; რადგან ზოგიერთ სოფლებში ტყის პატრონი[1]) წინააღმდეგობას უწევდნენ, ტყის მცველი ბ-ნი ბულგაკოვი, იძულებული შეიქმნა, ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი ფურცელაძე დეპეშით მოეწვია, რომელმაც გადმოსვლისათანავე ხალხს აუხსნა ამის შესახებიყოველივე მთავრობის განკარგულება, დარიგება მისცა და ტყეების მფლობელნი დაამშვიდა.

თრსოს ხეობის სათავიდგან დაწყებული ვიდრე დარიელამდე, სადაც-კი სახელმწიფო არყის ხის ტყეები არის, უნდება ორი „ზედამხედველი“ და აგრეთვე ყველა სოფლიდან თითო კაციც დარაჯად; პირველებს ექნებათ ჯამაგირი თითოს თვეში 14 მან., ხოლო მეორეები-კი სოფლის ხარჯზედ იქნებიან დაჭერილნი. ამ თანამდებობის გამო დიდი ცილობა აქვთ ერთმანერთში ადგილობრივ მცხოვრებთ და თხოვნას თხოვნაზედ აძლევენ ბ ნს ტყის მცველს.

ჯერ ხომ ტყის პატრონები პოლიციამ ძლივს დაამშვიდა ტყეების სახელმწიფო გამგებლის ხელში გადასვლისა გამო და ახლა მარტო ისღა გახდომია ხალხს სადარდელად და ერთმანერთში საბაასო საგნად, რომ თიბვის დროს თივებისქვეშ დასადებლად სათარი[2]) საიდგან და როგორ-ღა იღონისძიონ.

მართლაც-და, თუ ყოველ თიბვის დროს ღირებულის ფასის გამოღებით ნება არ მიეცემა ხალხს ხსენებულ ტყეებში სათარი მოსჭრას, მაშინ საქმე ძალიან გაჭირდება, რადგან უსათაროდ აქ ყოვლად შეუძლებელია მოთიბულის თივის მთებიდგან შინ ჩამოტანა.

დიდის მთავარის მიხეილის საქართველოში მთავარ-მართებლად ყოფნის დროიდგანვე ჩვენს ხალხს ნება მიეცა, კომლზედ ათი შაური შეეტანა და არაგვის სატყეო აგარაკებიდგან ნაყარ ხმელის შეშის ზიდვით ესარგებლნა, მხოლოდ მთელის წლის განმავლობაში კომლს თითო საჟენზედ მეტის გამოტანის ნება-კი არა ჰქონდა და რა-კი მიუხედავად ხის გვარისა, რასაც-კი ნაყარი შეშა ერქვა, განურჩევლად ყველა გამოჰქონდა ტყიდგან მეურმეს, ამგვარი უფლება დიდს შეღავათს აძლევდა, ვიდრე მიმდინარე წლის გაზაფხული დადგებოდა; ხოლო ამ გაზაფხულზედ-კი დუშეთის ტყის მცველმა ბ-ნმა ბულგაკოვმა სხვა რიგად შესცვალა ეს წესი. ეხლა მეურმეს შეუძლიან ტყიდგან ნაყარს შეშაში მარტო წიფელის აკრეფა და გამოტანა, ხოლო რაიცა შეეხება დანარჩენ ხეების გვარის შეშას, მაგალითად, თელას, რცხილას, მუხას და კიდევ სხ., ამეების ტყიდგან გამოტანა-კი სრულად აღეკრძალა. ნაყარი შეშა-კი რა გვარისაც უნდა იყოს, სულ ერთია, რადგანაც ლპება და მოზარდს ტყეს თუ არ აფუჭებს, არ აკეთებს!.. კარგს იზამდა ბ-ნი ტყის მცველი, რომ ჩვენს მეურმე ხალხს ამით არ აწუხებდეს და ხის ნაყარის ზიდვის უფლებას ძველებურად მიანიჭებდეს.

გ. ბ—შვილი

[1]) აქაური ტყეები, გარდა თითო-ოროლა სოფლისა, ყველგან ეკუთვნოდა მარტო ზოგიერთებს და არა მთელს სოფელს.

[2]) სათარი თივის ბულულის ქვეშ დასადებს ჰქვიან, შესდგება 3 ცალის ფიჩხის კონისაგან, რომელსაც თავები წნელითა აქვს ერთად შეკრული, ხოლო მხრები და ბოლო დაწნული ბალახისავე საბლის ამოსავლებ ყურებით.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** აღმოსავლეთის ომის შესახებ როზბერიმ გამოაცხადა, რომ იაპონელების პირველ გამარჯვების შემდეგ ჩინეთმა მასთან შერიგება მოისურვა და ამასთანავე ისეთი პირობები დაუდო, რომ გაცილებით სჭარბობდა იაპონელების მოთხოვნილებასაო. ამიტომ ბრიტანიის მთავრობამ მოვალედ ჩასთვალა თავისი თავი შეჰკითხებოდა ევროპიის სხვა სახელმწიფოთა და ამერიკის შეერთებულს შტატების მთავრობას, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება მოხერხდება თუ არაო. კარგი პასუხიც მიიღო, მხოლოდ ერთი თუ ორი სახელმწიფო იმ აზრისა იყო, რომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად პირობების წარდგენის დრო ჯერ არ დამდგარაო.

მადაგასკარის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ კაბინეტის უკანასკნელ ბჭობის დროს ხმაც არ ამოღებულა მადაგასკარის შესახებ. ინგლისი ყოველთვის პატივსაცემს იმ ხელშეკრულობას, რომლის ძალითაც საფრანგეთი მადაგასკარის უზენაესს მფარველად...

---

რომ მეტრფიალებოდნენ. ის აზრი, რომ იმდენი ძალ-ღონით სავსე მამა-კაცი მე, ერთ სუსტ არსებას,—მებრძოდა, მაგრამ ამაოდ-კი, სიამოვნებით მავსებდა და ჩემი ძალ-გულოვნობა კმაყოფილებას მფენდა სულელს!..

„სულ მოკლე ხანს ჩვენს საზოგადოებაში მე შესამჩნევი ადგილი დავიჭირე და ისეთი სიამოვნება არ იყო, რომელშიაც თანაზიარი არა ვყოფილიყავ. ნიკოც, რასაკვირველია, ყველაფერში მონაწილეობას იღებდა, მხოლოდ არ ვიცი-კი ნამდვილად— ჰგრძნობდა თუ არა იგი ამ ფუქს და კაცის პიროვნების დამამხობელს მდგომარეობას? — ნინო დაფიქრდა, თითქო პასუხს ეძებსო.

— არა—წარმოსთქვა მან გარდაწყვეტით—ვგრძნობ, რომ ეს ნიკოს გამორკვეული ჰქონდა, მხოლოდ ჩემის სიამოვნების ხელის შეშლა არ უნდოდა! აი რა ზომამდე ვუყვარდი საბრალოს!.. ალბად საცოდავი იმედოვნებდა „დრო გამოსცვლისო“, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მოსაზრებაც ვეღარ მოვასწარ!..

უნდა გითხრა, ალექსანდრე, რომ იმ დროს მე ნიკო კვლავინდებურად მიყვარდა, მხოლოდ იმ სიყვარულს ის გარეგანი სიცხოველე აღარ ეტყობოდა, როგორიც პირველს ხანებში. ამის მიზეზი იყო ჩემი და საზოგადოების დამოკიდებულება, რომელმაც ისეთს გარემოებაში ჩამაყენა, რომ დროც არა მქონდა დავფიქრებულიყავ და ანგარიში მიმეცა ჩემის გონებისათვის...

თეატრები, ბალები, ვიზიტები, სტუმრების დახვედრა და ათასი სხვა ამგვარი გარემოება მთლად მართმევდა დროს გონების სავარჯიშოდ და იმ მხურვალე სიყვარულისათვის, რომლის ღირსიც ნიკო იყო!... ჩვენ ძალიან გამოჩენით ვცხოვრობდით, ტ—ს დიდს ოჯახებს არაფერში ჩამოვრჩენილვართ, რადგანაც ნივთიერი საშუალება ხელს გვიწყობდა.

ნიკო, ჩემს სიყვარულზე დარწმუნებული, ყურადღებას არ აქცევდა ჩემსა და ჩემს მოტრფიალეთა დამოკიდებულებას. იგი თავისს დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ მე როდისმე ვუღალატებდი და სწორედ ამიტომაც სულ უბრალო, უმნიშვნელო შემთხვევამ საშინლად იმოქმედა, დაარწმუნა, რომ ნინო მღალატობსო, და თავი გააწირვინა.

ჩემ მოტრფიალეთა შორის იყო ერთი უცხოელი ყმაწვილი კაცი, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული და ამასთანავე ქალებისაგანაც მეტად გათამამებული. მე იმაზედ ისე ვიმოქმედე, რომ არც აცივა, არც აცხელა და პირველსავე შეხვედრაზედ სიყვარული გამომიცხადა. გამოტეხით გეტყვი, ეს ამბავი ცოტა არ იყოს მესიამოვნა. აქაც იმ დაწყევლილმა კოპწიაობისა და სულელურ თავ-მოყვარეობის თვისებამ იჩინა თავი, რომელიც ყოველ ქალის ხასიათში მოიპოვება. მეც ქალი ვიყავი და მერე აღზრდილი იმ წრეში, რომელმაც ყოველი თავისი ზნეობის გამხრწნელი ჩვეულება სრულის სავსებით გადმომცა თავისს ღვიძლს შვილს.

მართალია, ყოველივე იმედი გაწყვიტა, მაგრამ მაინც თავისი არ დაიშალა და, წინააღმდეგობის უჩვეული, უარესად გაჯიუტდა და დამიწყო დევნა. ბოლოს იქამდის მიაღწია იმისმა თავხედობამ, რომ ყოველს შეხვედრაზედ თავისს სიყვარულის შესახებ მელაპარაკებოდა. მეც თანდათან შევეჩვიე იმის ყბედობას, გულგრილად ვისმენდი სიყვარულით წარმოთქმულ სიტყვებს, ვიცინოდი, იმის მაგიერ, რომ სახე მომეღუშა... სულ აღარ ვცდილობდი ერთხელ და ერთხელ გარდაწყვეტილის პასუხით მომეშორებინა ჩემი მოტრფიალე.

რა იყო ამის მიზეზი—განა გულგრილობა ნიკოს მიმართ და ახალი გრძნობა, ჩემს გულში გაღვიძებული? სულაც არა—მე ნიკო ისევ ძველებურად მიყვარდა, ფიქრადაც არ მომსვლია ქმრისთვის მეღალატნა. მაშ რატომ თავიდგან არ ვიშორებდი მოარშიყეს, რომელიც ყოველს შემთხვევაში ჰლახავდა და მწიკვლსა სცემდა ჩემს მოვალეობას? —იმიტომ, რომ გამოუთქმელის კმაყოფილებით ვივსებოდი ხოლმე, როდესაც ეს შეუპოვარი, ყოველის ქალის გულის პატრონი ყმაწვილი კაცი, ჩემ წინ თავს იმდაბლებდა, სათაყვანებელ კერპად გავეხადე და მზად იყო თავისი არსება ჩემთვის შემოეწირა მსხვერპლად.

ხშირ-ხშირად დაიწყო ჩვენსას სიარული, ყველგან ჩემს „კავალრობას“, ეწეოდა არაფერს არას ჰზოგავდა, ოღონდაც სურვილისათვის მიეღწია. მეც ჩემის მხრივ, ვიმშვენევდი ყველა ამას და თითქოს იმედს ვაძლევდი თანაგრძნობისას.

„რასაკვირველია, ეს გარემოება საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და ჩვენს წრეში თურმე ხმა-დაბლა დაიწყეს ამის გამო ლაპარაკი. მხოლოდ ამ გვარი მოვლენა იქ ისეთი ხშირია, რომ ის მითქმა-მოთქმა მხოლოდ მითქმა-მოთქმადვე დარჩა და შორს არ წასულა. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემმა და იმ ყმაწვილის კეთილის მყოფებმა ეს გარემოება ხელზედ დაიხვიეს და ისეთი გზა მისცეს, რომელმაც ამ ყოფამდის მომიყვანა... უნდა იცოდე, ალექსანდრე, რომ იმ დროს ძალიან ბევრი მტერი მყავდა: აბა იმოდენა საზოგადოებაში ყველა ხომ კმაყოფილი არ იქნებოდა ჩემი. რაღა თქმა უნდა, ჩემი მტრები საშუალებას ეძებდნენ, რომ საზოგადოების თვალში დავემცირებინეთ. ესევე უნდა ითქვას იმ ყმაწვილ კაცის შესახებ, რომელსაც ქალთა შორის გამარჯვება, რასაკვირველია, საკმაო მეტოქეებს გაუჩენდა მტრად.

რაღა ბევრი გავაგრძელო, აიღეს თურმე ჩემმა მტერ-მოყვარეებმა და ის ჩემი «ვითომ-და ღალატი» უსახელო წერილით ნიკოს აცნობეს.

ეს ამბავი ნიკოს, აბა რაღა თქმა უნდა, საშინელს ზარად დაატყდებოდა თავზე და არც გასაკვირველია, რომ ამ ამბის პირველსავე გაგონებაზედ ეჭვი აღძვროდა. შეყვარებულ კაცის გულში ეჭვის გასაღვიძებლად საკმარისია მხოლოდ ერთი მარცვალი გადააგდო და ეს მცირე თესლი, დარწმუნებული იყავ, უხვს მოსავალს მოგცემს. ასევე იქნებოდა ნიკოს საქმეც. მე-კი აბა რა ვიცოდი? კვლავინდებურად ცეკვა-სიამოვნებაში ვიყავ გართული და ყოველს წამს გარს თაყვანის მცემლები მეხვია, რომელნიც მზად იყვნენ ჩემის თვალის დახამხამებისათანავე—ლომსაც-კი შესჭიდებოდნენ. ის უცხოელი ყმაწვილი უფრო დამიახლოვდა. მეტის-მეტი მხიარული და გონება-გახსნილი კაცი იყო, ისე რომ სიამოვნებით ვისმენდი იმის მუსაიფს. ამისთანავე მებრალებოდა კიდეც. ეტყობოდა, ჩემს სიყვარულს იმის გულში ფესვები ღრმად გაედგა და სტანჯავდა. ამიტომ არ ვუარობდი იმის მეგობრობას. ის-კი არ ვიცოდი, თუ ამავე დროს ჩემის საყვარელის ნიკოს გულში რა ვარამი ტრიალებდა!.. ხანი გადიოდა. ნიკოს ქცევაში არავითარი ცვლილება არ შემინიშნავს, თორემ იქნება იმას გამოვეფხიზლებინე და ამ უბედურებამდე აღარ მიმეხწია... იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ითვლება; მხოლოდ უარს ვერ ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელს დროს საფრანგეთის დამოკიდებულება ცოტა არ იყოს ეჭვსა ჰბადებდაო. გარნა ერთმანერთის მშვიდობის მოყვარეობითა და მოთმინებით ეს ეჭვიც ამოიფხვრებაო. დასასრულ როზბერიმ გამოაცხადა, ვინაიდგან აცნობებენ გაზეთებს, რომ იაპონელები იალუზედ სუკოჩინთან გადასულან და იმ სიმაგრეებიდგან, რომლებიც ნაპირების დასაცველად იყო აგებული, ჩინელების ჯარი გამოურეკნიათო.

## სასამართლოს მატიანე

საქმე მალხაზ და ილია ტურაშვილებისა, რომელთაც გლეხის ლუარსაბ წიწრიაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ.

ორშაბათს, 18 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ სამხედრო მოსამართლის პოლკოვნიკის პეტრაშკევიჩის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე სოფ. ენისელის (თელავის მაზრა) მცხოვრებლების მალხაზა და ილია ტურაშვილებისა, რომელთაც გლეხის ლუარსაბ წიწრიაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ.

სასამართლოს განკარგულებით, ბრალდებულები ბორკილ-დაყრილები და ჯარის კაცებით შემოიყვანეს დარბაზში. ილია ტურაშვილი ტან-მაღალი, ყმაწვილი კაცია, მალხაზა-კი მოხუცი, 50 წლისა, ტან-დაბალი.

აი მოკლედ გარემოება ამ საქმისა: 26 დეკემბერს 1893 წელს, ენისელის სოფლის საზოგადოების მამასახლისმა ყვარელის ბოქაულს გამოუცხადა, რომ სოფ. ენისელისა და ალდგომის შუა, სოფ. ალდგომის მცხოვრებლის ლუარსაბ წიწრიაშვილის უსულო გვამი ვიპოვეთო. წიწრიაშვილისათვის ყელი გამოელადრათ, თავი გაეპოთ და ფეხ-საცმელები დაეხადნათ. მოკლულის მახლობლად იპოვნეს დიდი კეტი, ხოლო 146 ნაბიჯზედ, სოფ. ენისელის გზაზედ, იპოვნეს შუაზედ გადატეხილი შვინდის ჯოხი, ხოლო ამ ჯოხის მახლობლად, თუთის ხის ქვეშ, ჰნახეს დატკეპნილი თოვლი. აქედგან-კი სოფლამდის ერთი კაცის კვალი მისდევდა. მკურნალის მოწმობით, წიწრიაშვილი ბასრის იარაღით უნდა ყოფილიყო მოკლული. ხანგრძლივმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ის ბერკეტი, რომელიც მოკლულის მახლობლად იპოვნეს, მოკლულისთვის ენისელის მცხოვრებელს ანუსია მურადაშვილისას მიეცა, რომელთანაც წიწრიაშვილი სტუმრად ყოფილიყო, და მეორე, შინდის ჯოხი-კი, ილია ტურაშვილის საკუთრება აღმოჩნდა. მამასახლისმა კარგად იცოდა, რომ წიწრიაშვილსა და ტურაშვილებს ერთმანეთში მტრობა ჰქონდათ და მივიდა ტურაშვილებთან, რომელსაც ჯოხი წარუდგინა. ილია ტურაშვილმა ჯოხი თავისად იცნო, მხოლოდ მამასახლისს გამოუცხადა, რომ მაგ ჯოხით 26 დეკემბერს ღამით ბიძაჩემმა მალხაზამ წიწრიაშვილი მოჰკლაო. მეც-კი მითხრა, მონაწილეობა მიიღეო, მაგრამ მე უარი ვუთხარი და მაშინ მალხაზამ თუშს მიხეილ გოშლაიძეს მიჰმართაო. საზოგადოდ ილია ტურაშვილმა შვიდჯერ გამოსცვალა ჩვენება, მაგრამ მაინც გამოირკვა, რომ წიწრიაშვილი ილია ტურაშვილის მოკლული იყო. აი რა აჩვენა ტურაშვილმა გამომძიებელს:

„მე და წიწრიაშვილი სადილათ ერთად ვიყავით სტუმრად. ნასადილევს ინდოურების მოსაპარად მიმიწვია და სახლიდგან ერთად გამოვედით. გზაზედ წიწრიაშვილმა უსაბუთოდ დამიწყო ჩხუბი, მე გული მომივიდა და კეტი, რომელიც მოკლულს ხელიდგან გამოვტაცე, თავში დავარტყი. როდესაც იგი წაიქცა, თავისისავე ხანჯლით ყელი გამოვჭერიო“... მალხაზა-კი იმიტომ ჩაუთრევია, ამ საქმეში, რომ არ ეყრებოდა და ცოლის შერთვის ნებას არ აძლევდა თურმე.

ოლქის სამხედრო სასამართლომ მოწმების გამოკითხვისა და თათბირის შემდეგ ილია ტურაშვილს დარჩობით სიკვდილი მიუსაჯა, ხოლო მალხაზა ტურაშვილი-კი გაამართლა.

## ქუთაისის საფილოქსერო დასის მოქმედება

ქუთაისის საფილოქსერო პირველმა დასმა ივლისისა, აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში დაათვალიერა 25% ვენახები სოფ. ზვარას, პატარა-ხარაგაულს, გოგოთუბანს, მანჩიხაურს და კონისს. ამ სოფლების ვენახები შეადგენს 30, 2 დეს., გასინჯულია 70,251 ძირი ვაზისა. ამ დათვალიერების დროს ფილოქსერა არ აღმოჩენილა. ამავე დროს საფილოქსერო დასი ათვალიერებდა ვენახებს სოფ. ციპას, ბეჟათუბანს და ნებოძირს. აქ რამდენსამე ვენახში ფილოქსერა აღმოჩნდა. სოფ. ციპას გაისინჯა ვენახები 2, 7 დეს. სივრცეზედ 47000 ძირი ვაზი. ამ ვენახების ადგილი მდებარეობს ქეთო ბოჯაძის ვენახის მახლობლად, სადაც შარშან შემოდგომაზედ ფილოქსერის ნიშანი აღმოჩნდა. ფილოქსერა აღმოაჩინეს 8 ვენახში, 63 ვაზზედ, რომელნიც გაფანტულნი არიან მთელს ვენახში და, რასაკვირველია, ერთმანერთს მოშორებულნი არიან. გარეგანის შეხედულობით და ფესვებით სრულიად არ განსხვავდებოდნენ საღ ვაზებისაგან. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ციპაში მხოლოდ ერთი წელიწადია რაც გაჩენილა ფილოქსერა. ფილოქსერიან ვენახებს შორის ძირიანად ამოაგდეს ვაზი ციპას შემდეგს ადგილებში: ერთი ვენახი სივრცით 280 ოთხ-კუთხი საჟ. და ორი ამისი მომიჯნავე ვენახის ნაწილი სივრცით 69 ოთხ კუთხ. საჟ. დანარჩენ ვენახებში, რომელს ვაზზედაც-კი შეამჩნიეს ფილოქსერა, მაშინვე ძირიანად ამოიღეს და დასწვეს; ის ადგილი, სადაც ფილოქსერიანი ვაზები აღმოჩნდა მოსწამლეს გოგირდის ნახშირ მჟავით. ამ ჟამად ძირიანად სთხრიან ვაზებს ხუთ საჟენის სიგრძეზედ დასინჯავენ დანარჩენ ახლო მდებარე ვენახებს.

სოფ. ბეჟათუბანში აგვისტოს თვეში გაისინჯა 25% $4\frac{1}{2}$ საჟენზედ (12 ქცევა) ვენახებისა. ამ გასინჯვის დროს აღმოაჩნდა ფილოქსერა 22 ვაზს ერთს ვენახში, სივრცით 150 ოთხ-კუთხი საჟ, რომელიც ძირიანად გაანადგურეს. ამასთან $1\frac{1}{2}$ დეს. ვენახებში, რომელიც ფილოქსერიან ვენახებთან ახლო მდებარეობენ, ვაზი სათითაოდ გაისინჯა; დანარჩენი 15 — 16 დეს. ვენახები ამავე სოფლისა 5% დაათვალიერეს. სექტემბერში სოფ. ნებოძირში ფილოქსერა აღმოაჩინა საფილოქსერო დასმა რამდენსამე ვენახში.

## სამეცნიერო ნაწილი

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო დაწვრილებული ცნობანი ყელჭირვების ახალ წამლობის შესახებ. მოგვყავს ეხლა კიდევ ზოგიერთი ცნობა იმავე საგნის გამო. ყელჭირვებას გამოიწვევს ერთგვარი ბაცილა, რომელიც გაჩნდება ხოლმე სასაში. აქედგან რომ ბაცილები აიღონ და წვენში ჩასდონ, ძლიერ მალე გამრავლდება. ამ ბაცილებით შეიძლება პირუტყვს აუცრან და ისიც ყელჭირვებით გახდება ავად. ის წვენი, რომელშიაც ბაცილები გამრავლდა, ფილტრის შემწეობით რომ გაიწუროს, შიგ, რასაკვირველია, ბაცილები აღარ დარჩება, მაგრამ შხამით იქმნება მოწამლული და რომელსამე პირუტყვს რომ შეუშხაპუნონ, წამსვე მოკვდება. ამ წვენში არის ის შხამი, რომელიც მიზეზია ავადმყოფობისა.

თუმცა ეს ავადმყოფობა მეტად საშიშია, მაგრამ ყოველთვის არა ჰკლავს ავადმყოფს და ხანდახან რჩება.

ექიმები იღებდნენ ზემოხსენებულ ბაცილების შხამს და ისე ცოტას უშხაპუნებდნენ პირუტყვს, რომ არ მომკვდარიყო. მეორედ მომეტებულს უშხაპუნებდნენ; შემდეგ თანდათან ამ შხამის მომატებაც შეიძლება. პირუტყვის სხეული თანდათან ეჩვევა ამ შხამს და ბოლოს იმდენს შხამს იტანს, რომელსაც ვერ გადურჩებოდა, პირველად რომ შეეშხაპუნებინათ. ამ გვარად ექიმები იმ აზრს დაადგნენ, რომ ყელჭირვების აცრა შესაძლებელიაო. საჭირო იყო მხოლოდ ეს წამალი ეცადნათ ადამიანზედაც, რასაკვირველია, დიდის სიფრთხილით. ამიტომ 1894 წლის 1 თებერვლიდგან პარიზის ორს სამკურნალოში დაიწყეს ყელჭირვებით ავადმყოფ ბავშვების წამლობა. ერთს სამკურნალოში ბავშვებს ახალის წამლით სწამლობდნენ, ხოლო მეორეში — ჩვეულებრივად. ამ გვარად შესაძლებელი იყო შეედარებინათ ერთმანერთისთვის ორივე წამლობა. მეორე სამკურნალოში 24 ივლისამდე მიიყვანეს ყელჭირვებით ავადმყოფი 520 ბავშვი; ამათში გარდაიცვალა 316 ე. ი. 60%; ხოლო პირველ სამკურნალოში მიიყვანეს 448; ამათში გარდაიცვალა 109, ე. ი. 24,5%.

უფრო საყურადღებოა რიცხვი იმ მორჩენილ ავადმყოფთა, რომელთაც ყელჭირვება მხოლოდ სასაში ჰქონდათ გაჩენილი და მთელს სხეულს არ მოსდებია. 1891—2 წლებში ექიმები Martin და Chaillou სწამლობდნენ 91 ავადმყოფს; მათ შორის გარდაიცვალა 38, ე. ი. 41% 1894 წელს იგივე ექიმები სწამლობდნენ 120 ავადმყოფს და მათ შორის მხოლოდ 9 გარდაიცვალა; ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ გარდაცვლილთა შორის 7 უკვე უიმედოდ იყო, როცა სამკურნალოში მიიყვანეს.

---

ისევ სიყვარულით მექცეოდა. მხოლოდ ეხლა მაგონდება, რომ ხანდახან გაშტერებით დამიწყებდა ხოლმე ცქერას, თვალს თვალში გამიყრიდა, თითქოს ჩემს თვალებში კითხულობდა მოღალატე ვიყავ მე იმისი, თუ უწინდელებრ მიყვარდა. მაშინ აბა რას წარმოვიდგენდი, რად მაშტერდებოდა ასე, ეხლა-კი ვგრძნობ, რა კოცონი იყო გაჩაღებული იმის გულში იმ დროს.

როგორც ვსთქვი, ნიკოს ცვლილება არაფერში ეტყობოდა და ამის გამო უზრუნველად ვატარებდი ჩემის ცხოვრების დღეებს, სულაც არა ვგრძნობდი ამ ცხოვრების ამაოებას. ნინო კვლავ აღელვდა და ისევ საყვედურით მიჰმართა თავისს თავს, მაგრამ როგორც იყო დავამშვიდე და ვსთხოვე, დაესრულებინა თავისი ლაპარაკი.

— რაღა დამრჩა სათქმელი, ალექსანდრე!? დანარჩენი ყველაფერი ადვილად გასაგებია.

ერთს წვიმიანს საღამოს შინ ვიყავი. ის ყმაწვილიც ჩვენსას იყო. ნიკო შინ არა სჩანდა... ნამდვილად-კი არ ვიცი, იქნება შინაც იყო და ჩვენ გვითვალთვალებდა. ეჭვს ბევრი რამ შეუძლიან.

საუბედუროდ ლაპარაკი სიყვარულის შესახებ ჩამოგვივარდა. ყმაწვილს კაცს უცბად გაახსენდა თავისი გრძნობა, დროებით მიყუჩებული, და მოჰყვა თავისის ტანჯვის შესახებ ლაპარაკს. ბოლოს იქამდის გაიტაცა ვნებათა ღელვამ, რომ მოულოდნელად ჩემ წინ დაიჩოქა, დამიწყო ვედრება თანამეგრძნო იმისი სიყვარულისათვის, დამიჭირა ხელები და ცრემლით დამიწყო კოცნა. ვცდილობდი მომეშორებინა როგორმე და, რომ ვერა გავაწყვერა სურვილისაგან გამხეცებულ კაცთან, ეხლა მე დაუწყე ხვეწნა-ვედრება დაენებებინა თავი, წაუყენე საბუთებად ჩემი მოვალეობა ცოლისა და სხვა ბევრი რამ ვუთხარი, რომ დამემშვიდებინა. ჩემმა მუდარამ იმოქმედა და როგორც იყო გონებაზედ მოვიდა. ორივენი ძალიან აღელვებულები ვიყავით, ერთმანერთისა გვრცხვენოდა. ყმაწვილმა კაცმა ბოდიში მომთხოვა და შემეხვეწა არ დამეთხოვა სახლიდან. მეც შემეცოდა და დარჩენის ნება მივეცი. რასაკვირველია, პირველს ხანს ორივეს გვეხამუშებოდა ერთი ერთმანერთისა, მაგრამ დრომ თავისი ჰქმნა, ბოლოს მოვრიგდით და ისევ ლაპარაკი გავაბით. პაპიროსებით გამხნევებული ჩემი მოტრფიალე გამხიარულდა, მოიმარჯვა თავისი მახვილი ენა და ერთს წამს ისე განმიფანტა წეღანდელი უსიამოვნო აზრები, რომ მცირე ხნის შემდეგ სრულის კმაყოფილებით ყურს ვუგდებდი იმის ოხუნჯობას.

ამ სიცილ-ხარხარში ვიყავი, როცა უცბად მოისმა დამბაჩის ხმა და ორივენი ფეხზედ წამოვცვივდით. გადაფითრებული მსახური შემოვარდა და დაიძახა, რომ თოფის ხმა ბატონის სამუშაო ოთახიდგან მოისმაო. ელდა ნაკრავსავით შევარდი ნიკოს სამუშაო ოთახში და საზარელი სურათი ვნახე. სამწერლო მაგიდას ახლო, იატაკზე იწვა ნიკოს გვამი პერანგისამარა; პერანგი მარცხენა მხარეს გადაწეული ჰქონდა და ძუძუს ცოტა ქვემოთ შავად მოსჩანდა პატარა წყლული, რომლიდგანაც სისხლის ნაკადული შადრევანსავით გადმოდიოდა. მარჯვენა ხელში საბრალოს რევოლვერი ეჭირა და მარცხენაში-კი ჩემი სურათი. დანარჩენი აღარა მახსოვს-რა, გული შემწუხებოდა. როდესაც გონს მოვედი, ლოგინში ვიწექი. როცა ყველაფერი გამახსენდა და თვალ წინ ნიკოს გასისხლიანებული გვამი წარმომიდგა, ლოგინიდგან გიჟსავით წამოვარდი, მაგრამ მოახლემ დამიჭირა და ისევ ლოგინზედ დამაწვინა. იმის შემდეგ დავკარგე ხსოვნა და ორის კვირის განმავლობაში სიკვდილ სიცოცხლეს ვებრძოდი... მერე მოვკეთდი, მაგრამ შავ და უკუღმა ის წამი!.. რაღა სასიცოცხლო ვიყავი?!.. ერთი თვის შემდეგ ჩემს სახელსაქმო ყუთში აი ეს წერილი ვიპოვე, რომელმაც ყველაფერი ამიხსნა და დანაშაული ერთი ასად გამიორკეცა!....

აქ უზომოდ აღელვებულ-აცრემლებულმა ნინომ ნიკოს წერილი გადმომცა, რომელსაც, როგორც თითონ მითხრა, სულ თან ატარებდა. ნინო ისე იყო აღშფოთებული, რომ სულს ძლივსღა იბრუნებდა, მერე როგორც იყო შეუმცირდა აღელვება და თავისი უბედური თავ-გადასავალი ამ სიტყვებით დაათავა:

— ეს-ღა დამრჩენია, ალექსანდრე, ნუგეშად, რომ ყოველ ღამე მოვდივარ აი აქ და ცრემლით და სიტყვით ვარწმუნებ ნიკოს საფლავს, რომ მე იმისთვის არ მიღალატნია და ისევე მიყვარს, როგორც წინედ მიყვარდა.

ნინო მუხლებზედ დაეცა, გამოაღო მატურის უჯრა, რომელიც ქვემო ნაწილში ჰქონდა ხელოვნურად გაკეთებული ხატისა და კანდელის დასადგმელად, ამოიღო იმ უჯრიდგან ნიკოს სურათი და დაუწყო გატაცებით კოცნა:

— გესმის, ნიკო! ხომ გესმის, გენაცვალე! შენ ნინოს შენთვის არ უღალატნია! უყვარხარ, უყვარხარ, ძველებურად უყვარხარ!.. და თან სურათს ცრემლებით ალბობდა,

იმდენად შესაბრალისი სანახავი იყო ამ ქალის უბედურება, რომ ვერაფრით ვანუგეშე, ვგრძნობდი, რომ ყოველი სანუგეშო სიტყვა უფრო გაამწარებდა. ამასთანავე ჩემი ცნობისმოყვარეობა მაძალადებდა ნიკოს წერილის წაკითხვას. ველარ გავძელ, ამოვიღე უჯრიდგან წმინდა სანთელი, გავკარი წუმწუმა და წერილი გადავიკითხე.

აი ნიკო რასა სწერდა:

„სააქაოსაც და საიქიოსაც ჩემო ღმერთავ, ნინო!

„ბევრი რამ მაქვს ამ წერილით შენთვის გადმოსაცემი, მაგრამ ეხლა ისე ვარ სულით დაქანცული, რომ თუ ის მოვახერხე და გამოვსთქვი, რაც უფრო უსაჭიროესია, ესეც მეტის მეტი იქნება ჩემგან. ყოველთ უწინარეს მინდა დაგარწმუნო, რომ შენ არაფერში გამტყუნებ; კაცის გრძნობა და განსაკუთრებით-კი სიყვარული, ისეთი რამ არის, რომლის ცვალებადობაში ადამიანი უდანაშაულოა.

„ვარ რა ამ აზრისა, ვგრძნობ, რომ უფლება არა მაქვს მოგთხოვო ის, რაც შენგან დამოუკიდებელია!..

„იყო დრო, როდესაც გიყვარდი, და გმადლობ იმ სიტკბოებისათვის, რომელიც მაშინ მაგრძნობინე!.. გაჰქრა ის ჟამი და ჩემი ადგილი შენს გულში სხვამ დაიჭირა, რომელიც, შეიძლება, ჩემზედ უფრო ღირსი იყოს მაგ ბედნიერებისა. მაშასადამე, მე აქ მეტი ვარ. მართალია, ისევ ისე მიყვარხარ, როგორც წინად, შეიძლება უფრო მეტადაც, მაგრამ ეს არა კმარა. შენ ჩემი სიყვარული აღარა გაქვს და მაშ რაღა უფლება მაქვს შენს ბედნიერებას ხელი შევუშალო, მით უფრო, რომ მაგ ბედნიერებით სხვასაც აბედნიერებ!?.

„გავიგე შენი პასუხი, რომელიც N-ს მიეცი, როცა იმან სიყვარული გამოგიცხადა. კარგად მესმის, რომ ცოლის მოვალეობა და ოჯახის ნა-

ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ყელ-ჭირვების მორჩენა მართლა შესაძლებელი ყოფილა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

აქამდის ჰფიქრობდნენ, რომ კვერცხის მომზადება შეუძლებელიაო. მაგრამ ამერიკის შეერთებულს შტატებში დიდი ხანია, რაც კვერცხების მომზადება დაიწყეს და ძალიან ბევრსაც ამზადებენ. საზოგადოდ ხელოვნურ კვერცხებს ასე აკეთებენ: გულს ამზადებენ ფქვილისა, სახამებლისა და სხვა ამ გვარ ნივთიერობისაგან, ცილას-კი ალბუმინისას, რომელიც არაფრით გაირჩევა ნამდვილის კვერცხის ცილისაგან და რომ ეს ორის, ხელოვნურისა და ნამდვილის კვერცხის, ცილა ერთ გვარია, ეს დამტკიცებულია ქიმიურადაც. კვერცხის შინაგანი ფსკა წებოსაგან შესდგება, ნაჭუჭს-კი გიფსისაგან აკეთებენ, თუმცა ეს ნაჭუჭი უფრო სქელია ნამდვილის კვერცხის ნაჭუჭზედ.

თითონ კვერცხს ასე ამზადებენ: კვერცხის საგულედ მომზადებულს ცომს დაასორსოლებენ და გაჰყინავენ. შემდეგ გაყინულსავე ალბუმინს შემოარტყამენ. ამ გვარად მომზადებულს მასალას კვერცხის ფორმას მისცემენ ხოლმე. ამ კვერცხს ჯერ წებოში ჩაუშვებენ და მერე გიფსში, რომელიც ზედ შეახმება და ისეთი მაგარი ხდება, რომ კვერცხის მსგავსებასაც მაშინაც არა ჰკარგავს, როდესაც გული და ცილა გადნება. ამ კვერცხის გემო არასფრით გაირჩევა ქათმის კვერცხის გემოსაგან და ის უპირატესობაცა აქვს, რომ დიდხან ინახება. გადატანა და გადაზიდვა ამ კვერცხისა ხომ უფრო ადვილია, რადგანაც ნაჭუჭი უფრო სქელი და მაგარი აქვს.

## გასართობი

—

პატარა ყმაწვილმა სასწავლებელში ფანჯრის მინა გასტეხა. ეს ამბავი ჯერ არ შეენიშნათ და ბავშვი შიშით ჰქრებოდა, როცა-კი მას მიჰმართამდა რაიმე კითხვით მასწავლებელი, ან სხვა ვინმე. ერთს კვირა დღეს იქაური მღვდელი მივიდა სასწავლებელში და გაკვეთილს უხსნიდა, რამდენსამე ბავშვს ჰკითხა გაკვეთილი და შემდეგ მინის გამტეხს მიუბრუნდა:

— ვინ გააჩინა ცა და ქვეყანა? საწყალი ბავშვი ისე შეშინებული იყო, რომ სულ ის გატეხილი მინა ახსოვდა და უთხრა:

— მოძღვარო ეგ მე არ ჩამიდენია.

— როგორთუ შენ არა?

— არა მამაო, მე-კი ვიყავი, მაგრამ ამის მეტად აღარ ვიზამ აგეთს საქმეს.

— ?!!..

**

ერთი ახლად შესული ჯარის კაცი პირველად დააყენეს დარაჯად. პირველში ძალიან დამშვიდებით დადიოდა სადარაჯო ფარდულის წინ. ბოლოს რომ მოსწყინდა, შედგა, დაუწყო ამ ფარდულს ცქერა და გაუგებრად დაიძახა:

— გასაოცარი საქმეა! არა, რა ძვირფასი რამ არის ეს ძველი, დამპალი ყუთი? ნეტა რისთვის უფთხილდებიან ისე, რომ მეც-კი დარაჯად დამაყენესო!

## შემოწირულებანი

—

ჩვენ მივიღეთ ქ-ნ მარიამ იანქოშვილის მიერ შეკრებილი სოფ. ბაკურციხეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მღვდლის ზირაქიშვილის ქვრივის სახლობის სასარგებლოდ შეკრებილი სამი თუმანი და 25 კაპ., რომელიც დანიშნულებისამებრ გავგზანვეთ. ვბეჭდავთ აქავე შემომწირველთა სიას:

ალექსანდრე იაშვილი 40 კაპ., ნინა ჩიპაგოვსკისა 40 კაპ., მღვდელმა ა. მოლოდინიშვილმა 1 მან., ელისაბედ კუსიკოვისა 1 მან., მღვდელი დავით გულაბაშვილი 1 მან., დარია მონასელიძისა 1 მან., ელისაბედ გედევანოვისა 1 მან., ბარბარე ლაზარევისა 25 კაპ., მიხელი წამალაშვილი 60 კაპ., სამსონ ქაჩანაშვილი 50 კაპ., ვანო ფოთოლაშვილი 30 კაპ., ელისაბედ ჯმუხაძე 1 მ., მღ. ა. თოთიბაძე 1 მან., მიხეილ კასრაძე 50 კაპ., უსოვა ბარბარე 2 მან., ს. დ. შლაუზეგლი 50 კაპ., სვ. ი. დჟავაევ 1 მან., სოფია უტარნოვა 1 მან., როინაშვილი 1 მან., ნინა პისაძე 50 კაპ., ნატალია ესებუას ასული 1 მან., თამარ დეკანოზიშვილისა 1 მან., ანნა წინამძღვაროვისა 1 მან., მელანია კვიკვიძისამა 60 კაპ., ელენა დჟამასპოვა 1 მან., აფანასია 1 მან., ეკატირინე გამდლიშვილისა 50 კაპ., დარია ჭრელაშვილისა 1 მან., გიორგი ყაჯარდუზოვ 1 მან., სოფიო მღებრიშვილისა 1 მან., მართა კონჩიევისა 1 მან., არჩილ კონჩუევისაგან 1 მან., ივანე კუჩუშვილისა 1 მან., დავითი 20 კაპ. დიაკონი მირონ ომანიძე 1 მან., ზაქარია ჩიქოვანი 1 მან., ივანე მიხეილის ძე რჩეულოვი 1 მან., სულ 30 მან 25 კაპ.

### პეტერბურგის ბირჟა, 18 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^3/_4$ | $149^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $237^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $190^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | $101^1/_2$ |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | $101^1/_2$ |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $96^1/_2$ | — ,, |

მუსის დაცვა-გაიძულებს შენს ბედნიერებაზედ უარი სთქვა და, თუ შენ მოგაქვს თავი მსხვერპლად, განა მე-კი არ შემიძლიან მსხვერპლის შეწირვა? თქვენ ორნი ხართ და მე-კი ერთი... სრული უფლება გაქვთ— ბედნიერება მოითხოვოთ და მე მოვალე ვარ მოგანიჭოთ იგი. თუ შენ ვერა ჰბედავ ჩემგან ვალის მოთხოვნას, მე თითონ ვითავებ ამ ვალის გადახდას; ზნეობრივი კანონი მაიძულებს ასე მოვიქცე!..

„მე იმ აზრისა ვიყავ და ვარ კიდეც, რომ გრძნობა ყოველთვის გონებას უნდა ემორჩილებოდეს. ამ შემთხვევაში სრულის სავსებით ვამართლებ ჩემს განზრახვას, თუმცა გული სულ სხვას მეუბნება:

«განვიმეორებ: არავითარი უფლება არა მაქვს მე, ერთს კაცს, წაგართვათ თქვენ, ორთ, ბუნებისაგან მონიჭებული კავშირი!..

„მშვიდობით... ვისურვებ ბედნიერი ცხოვრება მოგენიჭოს. დაგარწმუნებ, ჩემთან შენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვის და კანონიერს ბედნიერებას იმითი ნუ მოიწამლავ, რომ ჩემის სიკვდილით მოგენიჭება იგი....

„ეს შენი ბრალი-კი არ არის—ჩემია. ასეთი გზა იმიტომ ავირჩიე, რომ უშენოდ გაძლება არ ძალ-მიძდა. აქ ჩემი სისუსტეა მიზეზი: მტკიცე ხასიათის რომ ვიყო, ცოცხალი უნდა დავრჩენილიყავ და შენის ბედნიერებით მეც უნდა დავმტკბარიყავ; მომეკლა ჩემი ეგოისტური სურვილი, მაგრამ ერთის მხრივ ვგრძნობ, რომ ამ მაღალის გმირობისთვის ჩემი არსება უძლურია და მეორეს მხრივ, ის აზრი უფრო მაბედვინებს თავის მოკვლას, რომ იქნება, მე რომ ცოცხალი ვყოფილიყავ, შენ არ გეკისრა ოჯახის მყუდროების და ნამუსის გადალახვა ბედნიერების მისაღწევად.

„ჩემგან პატიებას არცა ჰსაჭიროებ იმიტომ, რომ დამნაშავე არაფერში ხარ, რადგანაც ის გრძნობა, რომელიც გულში დაგებადა და რომელმაც ჩვენს ცოლ-ქმრობას ასეთი გზა მისცა, შენგან დამოუკიდებელი იყო.

„კიდევ მშვიდობით... გთხოვ, მეგობარსავით გახსოვდე.

„დარწმუნებული ვარ ამ თხოვნაზე უარს არ მეტყვი: კუბოში შენი სურათი ჩამატანე.

ცოცხალიც და მკვდარიც შენი ნიკო“.

— ნუ თუ ხორციელს შეუძლიან ასეთი სულგრძელება?!—ვკითხე ჩემს თავს და ამასთანავე ნინოსაკენ მივიხედე, თითქოს იმისაგან მოველოდდი პასუხს, მაგრამ ნინო ისევ სურათს დასცქეროდა და ცრემლით ეუბნებოდა:

— გესმის, ნიკო! ხომ გესმის, გენაცვალე! შენს ნინოს შენთვის არ უღალატნია! ძველებურად უყვარხარ! მანდ მაინც მოისვენე, აქ ტანჯულო!!...

ი. ელიფთერიძე.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**, —$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**კ. ი. ფრანცუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—16)

**ცხოვრება**
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.